

სახელმწიფო აუდიტის სამსახური



„გ ა მ თ კ ი ც ე ჯ“

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების
ბიუჯეტების აუდიტის დეპარტამენტის
უფროსი

ჭ. ჭყიშვილი

ზურაბ ბუცხრიკიძე

„19 06“ 2015 წელი

ეგზ. №1

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის 2013-2014 წლების საფინანსო-ეკონომიკური
საქმიანობის შესაბამისობის აუდიტის ანგარიში

აქ 46/00

2015 წელი

სარჩევი

აუდიტის მიზანი	3
აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა.....	3
აუდიტორის პასუხისმგებლობა	3
ლაგოდების მუნიციპალიტეტის ზოგადი მიმოხილვა.....	4
პირობითი მოსაზრების საფუძვლები.....	10
საბიუჯეტო ხარვეზები	10
აღრიცხვა-ანგარიშგება	12
გადაუდებელი აუცილებლობა.....	12
გზის კაპიტალური მოწყობა.....	13
ტყე-პარკის რეაბილიტაცია	15
სკვერისა და შადრევნის მოწყობა.....	16
„სოფლის მხარდაჭერის პროგრამა“	17
სამუშაოების ანაზღაურება ფაქტობრივი დანახარჯების შესაბამისად	19
ვადის უსაფუძვლო გადაწვევები და გაუთვალისწინებელი ხარჯები	20
სახანძრო ავტოცისტერნის შესყიდვა	22
გადახდილი დღგ	23
წარმომადგენლობითი ხარჯი.....	24
ოფისის ხარჯები (საკვები პროდუქტების შესყიდვა).....	25
საკრებულოს წევრების ანაზღაურება.....	26
შტატგარეშე მოსამსახურეთა ანაზღაურება	27
სუბსიდია	28
იჯარები	30
სოციალური უზრუნველყოფა.....	31
კერძო აუდიტის დასკვნა.....	32
სხვა მნიშვნელოვანი საკითხების ხაზგასმა	33
გზის მოწყობა	33
უფასო სასადილო	34
გარე განათების ექსპლუატაცია.....	35
საპროექტო მომსახურება	35
თვითმცდელების შესყიდვა	36
წითელი ჯვარი	36
ექსკავატორის შესყიდვა	37
აუდიტის დასკვნა.....	38
აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი	38
აუდიტის ჯგუფის წევრების ხელმოწერები	39

აუდიტის მიზანი

აუდიტის მიზანია აუდიტის ობიექტის 2013-2014 წლების განმავლობაში გაწეული საქმიანობის მოქმედ კანონმდებლობასთან და მარეგულირებელ ნორმებთან შესაბამისობის შემოწმება.

აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობაა ორგანიზაციაში შიდა კონტროლის სისტემის იმდაგვარი დანერგვა და ზედამხედველობა, რომ მუნიციპალიტეტის საქმიანობა შეესაბამებოდეს მოქმედ კანონმდებლობასა და მარეგულირებელ ნორმებს.

გარდა ამისა, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია აუდიტორებისათვის მოწოდებული ინფორმაციის სისწორესა და სისრულეზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოსამსახურე ვალდებულია:

ა) აუდიტი წარმართოს უმაღლესი აუდიტორული ორგანოების აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად (ISSAI), რაც გულისხმობს პროფესიული ეთიკის მოთხოვნებთან შესაბამისობის დაცვას, ასევე აუდიტის დაგეგმვასა და ჩატარებას გონივრული რწმუნების მისაღებად იმის შესახებ, რომ აუდიტის ობიექტის მიერ გაწეული საქმიანობა შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას.

ბ) დაიცვას საქართველოს კონსტიტუცია, „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი და სხვა ნორმატიული აქტები;

გ) აუდიტის ობიექტს გააცნოს აუდიტის სახეობა, მიზანი, პერიოდი და მხარეთა უფლება-მოვალეობანი;

დ) უზრუნველყოს პერსონალური მონაცემების, სახელმწიფო, სამსახურებრივი და კომერციული საიდუმლოებების დაცვა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

ე) აუდიტის შედეგები არ გახადოს საჯარო აუდიტის ანგარიშის შედგენამდე;

ვ) აუდიტის პროცესში შესაძლო დანაშაულის ნიშნების გამოვლენის შემთხვევაში დოკუმენტების ორიგინალები დაურთოს აუდიტის მასალებს, ხოლო მათი დამოწმებული ასლები დატოვოს აუდიტის ობიექტში;

ზ) დაიცვას სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოსამსახურეთა ეთიკის კოდექსი;

თ) აუდიტის ჩატარებისას არ ჩაერიოს აუდიტის ობიექტის მიმდინარე საქმიანობაში.

პროფესიული განსჯის საფუძველზე აუდიტორი არჩევს პროცედურებს, რომლებიც, მისი მოსაზრებით, საჭიროა აუდიტორული მტკიცებულებების მოსაპოვებლად და აუდიტის ობიექტის საქმიანობაში არსებული უზუსტობებისა და რისკების შესაფასებლად, რაც, თავის მხრივ, გამოწვეულია განზრახ არამართლზომიერი ქმედებით ან შეცდომით.

მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები წარმოადგენს საკმარის და შესაფერის საფუძველს აუდიტორული დასკვნების გასაკეთებლად.

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ზოგადი მიმოხილვა

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი არის დამოუკიდებელი იურიდიული პირი, რომელსაც აქვს თვითმმართველობის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები, განკარგავს საკუთარ ქონებასა და ბიუჯეტს. მუნიციპალიტეტი აერთიანებს 15 ადმინისტრაციულ ერთეულს, მათ შორის: 1 ქალაქს და 14 თემს. ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ფართობია 890 კვ.მ, მოსახლეობის რიცხოვნობა შეადგენს 52.0 ათასს კაცს¹. ადმინისტრაციული ცენტრია - ქალაქი ლაგოდეხი. ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციის, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ ევროპული ქარტიის“, ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის², საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის, საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების მიხედვით.

¹ Nala.ge; geostat.ge

² ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი მოქმედებს 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შემდეგ, ხოლო არჩევნებამდე მოქმედებდა „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მიმოხილვა

თავის უფლებამოსილებათა განსახორციელებლად ლაგოდეხის მუნიციპალიტეტს გააჩნია საკუთარი ბიუჯეტი. საბიუჯეტო კოდექსის თანახმად, ადგილობრივი ბიუჯეტის დამოუკიდებლობა გარანტირებულია საკუთარი შემოსულობებითა და გადასახდელების გაწევის დამოუკიდებლად განსაზღვრის შესაძლებლობით.

ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მიხედვით, 2013-2014 წლებში მუნიციპალიტეტის შემოსულობები განისაზღვრა 21 424.9 ათასი ლარით. მათ შორის, შემოსავლებმა შეადგინა 21 237.4 ათასი ლარი და არაფინანსური აქტივების კლებამ - 187.5 ათასი ლარი.

ცხრილი 1. ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები (ათასი ლარი)

დასახელება	2013 წელი	2014 წელი	სულ
შემოსავლები	10875.8	10361.6	21237.4
გადასახადები	997.8	1053.0	2050.8
გრანტები	9074.2	8616.0	17690.2
სხვა შემოსავლები	803.8	692.6	1496.4
არაფინანსური აქტივების კლება	131.4	56.1	187.5

2013-2014 წლებში შემოსავლებში ყველაზე მაღალი ხვედრითი წილით გამოირჩევა სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული ტრანსფერები, რომლებიც წარმოდგენილია შემდეგი სახით:

ცხრილი 2. სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული ტრანსფერები 2013-2014 წელი (ათასი ლარი)


ტრანსფერის დასახელება	2013 წელი	2014 წელი	სულ
გათანაბრებითი	4631.2	5387.8	10019.0
მიზნობრივი	200.0	210.0	410.0
სპეციალური	4243.0	3018.2	7261.2

2014 წელს ლაგოდეხის მუნიციპალიტეტს სპეციალური ტრანსფერის სახით გამოეყო 3 018.2 ათასი ლარი. მათ შორის, ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად - 2940.1 ათასი ლარი, ხოლო სტიქიის სალიკვიდაციოდ - 78.1 ათასი ლარი³.

ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მიხედვით, 2013-2014 წლებში მუნიციპალიტეტის გადასახდელები განისაზღვრა 21 384.6 ათასი ლარით, მათ შორის, ხარჯებმა შეადგინა 12 924.8 ათასი ლარი, არაფინანსური აქტივების ზრდამ - 7 826.0 ათასი ლარი და ვალდებულებების კლებამ - 633.8 ათასი ლარი.

ბიუჯეტის შესრულების ანგარიშით, 2013 წელს მუნიციპალიტეტის ხარჯებმა შეადგინა 6 042.6 ათასი ლარი, ხოლო 2014 წელს - 6 882.2 ათასი ლარი.

დიაგრამა 1. ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ხარჯები 2013-2014 წწ (ათასი ლარი)



2013-2014 წლებში მუნიციპალიტეტის ხარჯების 30%-ზე მეტი გაცემულია „შრომის ანაზღაურების“ სახით, „საქონელი და მომსახურება“ შეადგენს 27%-ს, ხოლო „სუბსიდია“ - 37%-ს. 2014 წელს შრომის ანაზღაურება წინა წელთან შედარებით შემცირებულია 8%-ით, რაც საშტატო ერთეულების შემცირებით იქნა გამოწვეული, ხოლო მუხლი „საქონელი და მომსახურება“ გაზრდილია დაახლოებით 23%-ით, რაც ძირითადად გამოწვეულია შტატგარეშე მოსამსახურეთა რაოდენობის ზრდით. 2014 წელს სუბსიდია წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით გაიზარდა 32%-


³ 2014 წელს კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებების შედეგად სპეციალური ტრანსფერიდან გაიმიჯნა კაპიტალური ტრანსფერი, რომელიც კაპიტალური პროექტების განსახორციელებლად გამოეყოფა ადგილობრივ თვითმმართველობებს, ხოლო სპეციალური ტრანსფერი დარჩა როგორც სტიქიური მოვლენების და სხვა საგანგებო სიტუაციების შედეგების სალიკვიდაციოდ მიღებული ფინანსური დახმარება.

ით. აღნიშნული განაპირობა თვითმმართველი ერთეულის მიერ დაფუძნებულ 10 ა(ა)იპ-ში მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურების ზრდამ, გარდა ამისა, 2014 წელს დაფინანსდა საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების ლაგოდების წარმომადგენლობა. აღსანიშნავია, 2013-2014 წლებში თვითმმართველ ერთეულსა და მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ იურიდიულ პირებში სულ დასაქმებულ მოსამსახურეებზე (საშუალოდ 913 კაცი) ხელფასისა და პრემიის სახით გაცემულია ბიუჯეტის გადასახდელების 38% (8158.5 ათასი ლარი).

ბიუჯეტის შესრულების ანგარიშების მიხედვით, არაფინანსური აქტივების ზრდა წინა წლის ანალოგიურ მონაცემთან შედარებით, 2014 წელს შემცირებულია 32%-ით, ანუ 1515.6 ათასი ლარით⁴. აქედან, სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი სახსრები - 1171.3 ათასი ლარით, ხოლო საკუთარი შემოსავლები 344.3 ათასი ლარით ნაკლებია დახარჯული.

ლაგოდების მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივებით ოპერაციების ფუნქციონალური კლასიფიკაცია წარმოდგენილია 2013-2014 წლების ჯამური მაჩვენებლით.

დიაგრამა 2. ხარჯებისა და არაფინანსურ აქტივებზე ოპერაციების ფუნქციონალური კლასიფიკაცია



ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით, 2013-2014 წლების ბიუჯეტის გადასახდელებში მაღალი ხვედრითი წილით გამოირჩევა ეკონომიკური საქმიანობა (33%). აღნიშნული თანხით ფინანსდება გზების რეაბილიტაცია, „სოფლის

⁴ 2013 წელი - 4670.8 ათასი ლარი, 2014 წელი - 3155.2 ათასი ლარი.

მხარდაჭერის პროგრამა“ და სხვა სამუშაოები. ასევე ბიუჯეტის 23% მიმართულია საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების დასაფინანსებლად, რითაც უზრუნველყოფილია საკრებულოსა და გამგეობის საქმიანობა.

2014 წლის 1 იანვრის მდგომარეობით მუნიციპალიტეტის ანგარიშზე ნაშთის ცვლილებით გამოწვეული ფულადი სახსრების გამოყენებამ შეადგინა 6.4 ათასი ლარი, ხოლო 2015 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ფულადი სახსრების დაგროვებამ - 46.6 ათასი ლარი.

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საქმიანობის ძირითადი მიმართულებები

მუნიციპალიტეტს გააჩნია საკუთარი და დელეგირებული უფლებამოსილებები. საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში ის ახორციელებს ინფრასტრუქტურულ, სოციალურ-კულტურულ, სკოლამდელი განათლებისა და სხვა სახის ღონისძიებებს, ხოლო სახელმწიფო მმართველობის ორგანოების მიერ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტისათვის დელეგირებულია შემდეგი უფლებამოსილებები: ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის უზრუნველყოფა. მოქმედი კანონმდებლობით მუნიციპალიტეტის საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია:

- ✓ საბიუჯეტო პროცესის განხორციელება;
- ✓ ადგილობრივი გადასახადებისა და მოსაკრებლების შემოღება, განაკვეთების განსაზღვრა და ამოღება;
- ✓ იურიდიული პირების დაფუძნება, რეორგანიზაცია, ლიკვიდაცია;
- ✓ მუნიციპალური ქონების შექმნის, სარგებლობისა და განკარგვის საკითხების რეგულირება საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში;
- ✓ სივრცით-ტერიტორიული მოწყობა, განაშენიანება და ტერიტორიის კეთილმოწყობა;
- ✓ მუნიციპალიტეტის ტერიტორიის კეთილმოწყობა და შესაბამისი საინჟინრო ინფრასტრუქტურის განვითარება და სხვა.

შესყიდვები

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მიერ, 2013-2014 წლებში ბიუჯეტით გათვალისწინებული ღონისძიებებისა და პროექტებისათვის საჭირო სამუშაოს, საქონლისა და მომსახურების შესყიდვა განხორციელდა 378 გამარტივებული შესყიდვის, 83 გამარტივებული ელექტრონული ტენდერის, 29 ელექტრონული ტენდერისა და 15 კონსოლიდირებული ტენდერის მეშვეობით.

(ათასი ლარი)

შესყიდვის საშუალება	2013 წელი		2014 წელი		სულ	
	რაოდენობა	თანხა	რაოდენობა	თანხა	რაოდენობა	თანხა
გამარტივებული შესყიდვა	205	1 639.7	173	1 481.8	378	3 121.5
გამარტივებული ელექტრონული ტენდერი	31	792.9	52	871.2	83	1 664.1
ელექტრონული ტენდერი	11	3 517.6	18	2 245.2	29	5 762.8
კონსოლიდირებული ტენდერი	8	170.6	7	63.6	15	234.2
სულ:	255	6 120.8	250	4 661.8	505	10 782.6

პირობითი მოსაზრების საფუძვლები

საბიუჯეტო ხარვეზები

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საქმიანობა საბიუჯეტო პროცესის კუთხით, როგორც შემთხვევებში არ შეესაბამება საქართველოს საბიუჯეტო კოდექსისა და „საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანების მოთხოვნებს, კერძოდ:

- ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის პრიორიტეტების დოკუმენტი უნდა შეიცავდეს სხვადასხვა სახის ინფორმაციას, მათ შორის, დასაგეგმი წლის შემდგომი სამი საბიუჯეტო წლისათვის ბიუჯეტის შემოსავლებისა და ხარჯების, ფინანსური და არაფინანსური აქტივებით ოპერაციებისა და ვალდებულებების აგრეგირებულ მაჩვენებლებს. ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის 2013-2014 წლების პრიორიტეტების დოკუმენტი აღნიშნულ ინფორმაციას არ მოიცავს.

- ბიუჯეტის პროექტის მომზადების მიზნით, საფინანსო ორგანოს საბიუჯეტო ორგანიზაციებისათვის უნდა გაეგზავნა საბიუჯეტო განაცხადის ფორმები ასიგნებებისა და მომუშავეთა რიცხოვნობის საორიენტაციო ზღვრული მოცულობების მითითებით. 2013-2014 წლებში ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ საბიუჯეტო ორგანიზაციებში არ გადაგზავნილა აღნიშნული ფორმები. აქედან გამომდინარე, ბიუჯეტებში ისე დაიგეგმა და დამტკიცდა სუბსიდიის მაჩვენებელი, რომ დადგენილი არ იყო საბიუჯეტო ორგანიზაციების საშტატო განრიგი და მათი საქმიანობის განხორციელებისთვის საჭირო ფინანსური რესურსების მოცულობა.

- კანონმდებლობის თანახმად, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანო ახალი საბიუჯეტო წლის დაწყებამდე იღებს გადაწყვეტილებას „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის პროექტის დამტკიცების შესახებ“. ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ 2013 წლის ბიუჯეტი დამტკიცებულია ახალი საბიუჯეტო წლის დაწყების შემდეგ, 2013 წლის 11 იანვარს.

- 2013 წელს შრომის ანაზღაურების მუხლი თავდაპირველი დამტკიცებული გეგმით განისაზღვრა 1808.6 ათასი ლარით. აღნიშნული მაჩვენებელი წლის განმავლობაში გაიზარდა 1/7-ით და გახდა 2083.5 ათასი ლარი. „2013 წლის

სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნით „შრომის ანაზღაურების“ მუხლის გაზრდა შესაძლებელია დამტკიცებული ასიგნების არა უმეტეს 1/12-ით.

- 2014 წლის ბიუჯეტით „შტატგარეშეთა ანაზღაურების“ წლიური დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 348.8 ათასი ლარს, საკასო ხარჯია 340.8 ათასი ლარი. წარმოდგენილი დოკუმენტებით, მუნიციპალიტეტის მიერ 2014 წლის განმავლობაში სულ შტატგარეშე მოსამსახურეებზე დარიცხული შრომის ანაზღაურება შეადგენდა 375.7 ათას ლარს. აღნიშნულიდან გამომდინარე, მუნიციპალიტეტმა ფინანსური ვალდებულება აიღო და ხარჯი გასწია ასიგნების ზევით, თანხით 26.9 ათასი ლარი. პასუხისმგებელი პირის განმარტებით, 26.9 ათასი ლარი არის ტერიტორიული ორგანოების შტატგარეშე სპეციალისტებზე დარიცხული ხელფასი, რომელიც ბიუჯეტის შესრულების ანგარიშში ნაცვლად „შტატგარეშე მოსამსახურეთა ანაზღაურებისა“, აისახა „შრომის ანაზღაურების“ ხარჯში.

- მუნიციპალიტეტის 2013 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშში „გარე განათების რეაბილიტაციისა და ექსპლუატაციის“ დამტკიცებული ასიგნება იყო 330.0 ათასი ლარი, ხოლო შესრულებამ შეადგინა 6.0 ათასი ლარით მეტი, ანუ 336.0 ათასი ლარი. გადახარჯვა გამოწვეულია საახალწლო ნაძვის ხის მონტაჟის სამუშაოების არასწორი კლასიფიცირების გამო. აღნიშნული შესყიდვა დაგეგმილი იყო „კულტურული ღონისძიებების“ ასიგნებით, ხოლო შესრულება კლასიფიცირებული იყო „გარე განათების რეაბილიტაციისა და ექსპლუატაციის“ ასიგნებით.

- 2013 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშში „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების“ საკასო ხარჯი ნაცვლად 893.3 ათასი ლარისა, შეადგენდა 895.6 ათასი ლარს. სხვაობა - 2.3 ათასი ლარი არასწორად იქნა კლასიფიცირებული, ნაცვლად „წყლის სისტემების რეაბილიტაცია და ექსპლუატაციის“, აისახა „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებებში“.

- 2013 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშში ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური კლასიფიკაციის „სოციალური დაცვის“ მუხლში - „სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში“ ნაჩვენებია

გადახარჯვა 20.8 ათასი ლარით⁵. აღნიშნული გამოწვეულია იმით, რომ სტიქიის შედეგად მიყენებული ზარალის სალიკვიდაციო ღონისძიებები დაგეგმილი იყო მუხლით „სოციალური გაუცხოების საკითხები, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიკაციას“, ხოლო შესრულებაში არასწორად იქნა კლასიფიცირებული მუხლში „სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში“.

აღრიცხვა-ანგარიშგება

ლაგოდების მუნიციპალიტეტი ვალდებულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის №364 ბრძანების შესაბამისად, დადგენილ ვადებში მოამზადოს პერიოდული და წლიური ფინანსური ანგარიშგებები, სადაც უნდა აისახოს ინფორმაცია ორგანიზაციის ფინანსური მდგომარეობის შესახებ. ლაგოდების მუნიციპალიტეტს 2013-2014 წლებში არ შეუდგენია პერიოდული და წლიური ფინანსური ანგარიშგებები. პასუხისმგებელი პირის განმარტებით, ეს განპირობებულია იმით, რომ ფინანსური ანგარიშგების მომზადება არავის მოუთხოვია. თუმცა აღნიშნული მიზეზი ვერ იქნება საკმარისი არგუმენტი ფინანსური ანგარიშგებების მოუმზადებლობისთვის. ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს არ წარედგინება ზუსტი და სრული ინფორმაცია მუნიციპალიტეტის ფინანსური მდგომარეობის შესახებ. შედეგად, გამგეობის ზემდგომი ორგანო ვერ ახდენს წლიური ფინანსური შედეგების განხილვას, შეჯამებას, გასული და მიმდინარე წლების ფინანსური მდგომარეობის შედარებას, რაც უზრუნველყოფს დასაგეგმი წლისათვის აქტივების რაციონალურ და ეფექტიან ხარჯვა-გამოყენებას.

გადაუდებელი აუცილებლობა

კანონმდებლობის თანახმად, შემსყიდველმა ორგანიზაციამ მომდევნო წლის შესყიდვების გეგმა შესყიდვების სააგენტოს უნდა გაუგზავნოს არა უგვიანეს მიმდინარე წლის 20 ნოემბრისა, რის შემდეგაც მას შეუძლია დაიწყოს მომდევნო წლისათვის აუცილებელი სახელმწიფო შესყიდვის განხორციელება. შესყიდვების

⁵ გეგმა - 10.0 ათასი ლარი, საკასო ხარჯი - 30.8 ათასი ლარი.

წლიური გეგმა უნდა შეესაბამებოდეს შესყიდვების წლიური გეგმის წარდგენის მომენტისათვის წარმომადგენლობით ორგანოში წარდგენილ ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის პროექტს.

2013-2014 წლებში ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგეობამ ბიუჯეტის პროექტის შესაბამისი შესყიდვების გეგმა კანონმდებლობით განსაზღვრულ ვადებში წარადგინა შესყიდვების სააგენტოში, რის შემდეგაც შესაძლებელი იყო შესაბამისი ტენდერების ჩატარება ახალი საბიუჯეტო წლის დაწყებამდე. მიუხედავად ამისა, მუნიციპალიტეტმა დაგვა-დასუფთავების, საახალწლო ნაძვის ხის, განათების მოწყობისა და სხვა სამუშაოების შესყიდვაზე დროულად არ გამოაცხადა ტენდერები და გადაუდებელი აუცილებლობით გააფორმა 87.9 ათასი ლარის ღირებულების 7 ხელშეკრულება. აღნიშნული შესყიდვების საჭიროება წინასწარ იყო ცნობილი მუნიციპალიტეტისათვის და არ წარმოადგენდა გადაუდებელ აუცილებლობას. შედეგად, მუნიციპალიტეტმა არ შეასრულა შესყიდვების კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნები.

გზის კაპიტალური მოწყობა

2014 წელს ლაგოდეხის მუნიციპალიტეტმა გააფორმა ხელშეკრულება შპს „FIN-ESTATE-სთან“ სოფელ ჭიაურში გზის საფარის მოწყობის შესყიდვაზე, ღირებულებით 365.1 ათასი ლარი. ხელშეკრულება ითვალისწინებდა 9240 კვ.მ-ზე შემასწორებელი ფენის - სისქით 2.5 სმ და წვრილმარცვლოვანი ფენის, სისქით - 6.5 სმ, მოწყობას.

წარმოდგენილი შესრულებული სამუშაოების აქტების თანახმად, მიმწოდებელმა მოახდინა 9240 კვ.მ-ზე 2.5 სმ-იანი შემასწორებელი ფენისა და 6.5 სმ-იანი წვრილმარცვლოვანი ფენის დაგება, რასაც ადასტურებს მუნიციპალიტეტის ინსპექტირების ჯგუფი დათვალიერების აქტით.

აუდიტის ჯგუფის მიერ ადგილზე დათვალიერების შედეგად, 5 სხვადასხვა მონაკვეთზე დადგინდა, რომ ასფალტის სისქე არ შეადგენდა 6.5 სმ-ს. აღნიშნული გარემოების გამოვლენის შემდეგ, მუნიციპალიტეტმა მოგვიანებით წარმოადგინა ასფალტობეტონის საფარიდან ამოჭრილი ნიმუშის გამოცდის შედეგების ლაბორატორიული დასკვნა, რომელშიც მითითებულია, რომ შესასწავლად

ამოჭრილი ფენილის სისქე შეადგენს 4 სმ-ს, რაც დაადასტურეს ინსპექტირების ჯგუფის წევრებმა წერილობითი განმარტებებით.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, შპს „FIN-ESTATE-მა“ ფაქტობრივად მოაწყო წვრილმარცვლოვანი ასფალტი, სისქით - დაახლოებით 4 სმ, ნაცვლად 6.5 სმ-ისა და შესაბამისად, მუნიციპალიტეტმა შუალედური მიღება-ჩაბარების აქტებით მიიღო 303.9 ათასი ლარის ღირებულების სამუშაო, 1 კვ.მ-ის ფასი შეადგენდა 32.9 ლარს. აღსანიშნავია, რომ იმავე წელს მუნიციპალიტეტს 1 კვ.მ წვრილმარცვლოვანი ასფალტის მოწყობა, სისქით - 4 სმ, შესყიდული აქვს მაქსიმუმ - 19.1 ლარად. აღნიშნული ფასით დაანგარიშების შემთხვევაში, შესასრულებელი სამუშაოების ღირებულება შეადგენდა დაახლოებით 176.0 ათას ლარს, ხოლო მუნიციპალიტეტმა მიიღო 127.9 ათასი ლარით მეტი, ანუ 303.9 ათასი ლარის სამუშაო.

გარდა ამისა, ტენდერზე მიმწოდებლის მიერ წარდგენილი დაზუსტებული ხარჯთაღრიცხვა მოიცავდა ხარვეზებს, კერძოდ, მასში ასახული იყო სხვადასხვა თანხა, სულ 17.2 ათასი ლარის ოდენობით, თუმცა რა სამუშაოები უნდა ჩაეტარებინა მიმწოდებელს აღნიშნული თანხის ფარგლებში, არაა ცნობილი. ხარვეზი არ გამოუვლენია სატენდერო კომისიას, ინსპექტირების ჯგუფსა და ექსპერტიზის სამსახურს. პასუხისმგებელი პირები ვერ განმარტავენ, რა სახის სამუშაოები შესრულდა აღნიშნული 17.2 ათასი ლარის ფარგლებში.

აღსანიშნავია, რომ 2014 წლის 27 ივნისს მუნიციპალიტეტმა მიმწოდებელს გადაურიცხა სახელშეკრულებო ღირებულების 90%, - 328.6 ათასი ლარი. წარმოდგენილი სამუშაოების აქტების თანახმად ხელშეკრულებით განსაზღვრული სამუშაოები შესრულდა, თუმცა აღმოჩნდა, რომ არასრულყოფილად. აღნიშნულის გამო, მუნიციპალიტეტმა, 2014 წლის 11 ივლისს, გამგეობის N818 წერილით მიმართა მიმწოდებელს ვალდებულების სრულყოფილად შესრულების მოთხოვნით, ხოლო შემდეგ 2015 წლის 11 მაისს სარჩელი წარადგინა სასამართლოში შპს „FIN-ESTATE-ის“ მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და პირგასამტეხლოს გადახდის დაკისრების თაობაზე, რაზეც დავა ამჟამადაც მიმდინარეობს.

გარდა ამისა, ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულების დროს გამოვლინდა სხვადასხვა ხარვეზი, კერძოდ:

- ✓ ხელშეკრულების მიხედვით, მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შემოწმება ევალებოდა ინსპექტირების ჯგუფს, რომლის მიერ შედგენილი დასკვნა საფუძვლად ედო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებას. ინსპექტირების ჯგუფის მიერ შედგენილი ფარული სამუშაოების აქტები არ მოიცავს ჩატარებული სამუშაოების მოცულობებს, შესაბამისად, ვერ დასტურდება გზის საფუძვლის, შემასწორებელი ფენის (სისქე - 2.5 სმ) და სხვა ფარული სამუშაოების ჩატარება ხელშეკრულებით განსაზღვრული მოცულობებით. ასევე, დათვალიერების აქტებში აღნიშნულია, რომ ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოები შეესაბამება მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილ შესრულებული სამუშაოების აქტებში დაფიქსირებულ მოცულობებს. მათ შორის, ინსპექტირების ჯგუფმა დაადასტურა 6.5 სმ სისქის წვრილმარცვლოვანი საფარის დაგება, ხოლო მოგვიანებით, აუდიტის მსვლელობის დროს გამოვლინდა, რომ ასფალტის საფარის სისქე არა 6.5 სმ, არამედ 4 სმ იყო.
- ✓ სატენდერო დოკუმენტაციითა და ხელშეკრულებით, ექსპერტიზის დასკვნა უნდა წარმოედგინა მიმწოდებელს, თუმცა არ იყო განსაზღვრული, თუ რა სახის შემოწმება უნდა ჩატარებულიყო. მიმწოდებელმა წარმოადგინა ექსპერტიზის დასკვნა, რომლის მიხედვითაც: ექსპერტმა შეისწავლა მხოლოდ ხილული სამუშაოები, მას არ დაუდასტურებია ჩატარებული სამუშაოების ხარისხი და ფარული სამუშაოების მოცულობები, აგრეთვე გზის საფარის სისქე; ხოლო ლაბორატორიული კვლევა ჩატარდა მხოლოდ ზედა წვრილმარცვლოვან ასფალტის საფარს და დანარჩენი სამუშაოები არ შემოწმებულა.

ტყე-პარკის რეაბილიტაცია

2014 წლის 23 მაისს მუნიციპალიტეტმა ელექტრონული ტენდერის საშუალებით ხელშეკრულება გააფორმა შპს „სასწორთან“, ტყე-პარკის რეაბილიტაციის შესყიდვის მიზნით, ღირებულებით 179.0 ათასი ლარი. პროექტის შესაბამისად დამონტაჟდა ელგანათება, დაიდგა სკამები, მოეწყო ჭიშკარი, ბორდიურები, აშენდა საპირფარეშო და სხვა. მუნიციპალიტეტმა ობიექტი ჩაიბარა 2014 წლის ოქტომბერში.

წარმოდგენილი დოკუმენტებით, საპირფარეშოს მშენებლობაზე დაიხარჯა 25.1 ათასი ლარი. აუდიტის ჯგუფმა მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებთან ერთად დაათვალიერა აღნიშნული ობიექტი. გამოვლინდა, რომ საპირფარეშო დაკეტილია მისი ექსპლუატაციაში შესვლის დღიდან, რასაც ადასტურებს დამონტაჟებული წყლის მრიცხველზე ნულოვანი მაჩვენებელი. საპირფარეშოს დაკეტვის გამო, შიდა კედლები დანესტიანებული და შესაბამისად, დაზიანებულია. საპირფარეშოს დაშენებული აქვს ფართობი იატაკის გარეშე და არ გამოიყენება. ამავე დროს მას აქვს შესასვლელი კარი, რომელიც უფუნქციოა. აღსანიშნავია, რომ პროექტით გათვალისწინებული არ იყო დაშენებულ ფართობზე კარის მოწყობა.

აღნიშნული საპირფარეშოს მოწყობით მუნიციპალიტეტის მიერ 25.1 ათასი ლარის ხარჯი გაწეულია არაეფექტიანად.

სკვერისა და შადრევნის მოწყობა

2012 წლის 10 სექტემბერს მუნიციპალიტეტმა ელექტრონული ტენდერით შპს „ბილდინგ ჰაუსისთან“ გააფორმა ხელშეკრულება 26 მაისის ქუჩისა და სკვერის მოწყობაზე, ღირებულებით 432.7 ათასი ლარი. 2012 წელს შესრულდა 139.0 ათასი ლარის ღირებულების სამუშაოები, ხოლო დარჩენილი ნაწილი, ღირებულებით - 293.7 ათასი ლარი, განხორციელდა 2013 წელს.

აუდიტის ჯგუფმა გამგეობის ინსპექტირების ჯგუფის წევრებთან ერთად დაათვალიერა შესრულებული სამუშაოები. ობიექტის დათვალიერებისა და წარმოდგენილი დოკუმენტების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ მიმწოდებელს „არსებული გზის ასფალტის საფარის, სკვერის გზა-ბილიკების სადემონტაჟო“ სამუშაოები შესრულებული აქვს დაახლოებით 500 კვ.მ-ით ნაკლები⁶. სკვერში 91 მრავალწლოვანი სხვადასხვა ჯიშის ხე-მცენარის ნაცვლად არის 77 ერთეული, დაზიანებულია სკვერში არსებული ფილები, შადრევნის ფასადური ზედაპირი, შადრევნის აუზის დეკორატიული ფილები, პოსტამენტის მოპირკეთებული ზედაპირი და პოსტამენტზე მოწყობილი დეკორაცია. პასუხისმგებელი პირის განმარტებით, არ მუშაობს შადრევანი. აღსანიშნავია, რომ ხელშეკრულების

⁶ წარმოდგენილი ფარული სამუშაოების აქტების მიხედვით, სადემონტაჟო სამუშაოების მოცულობები შეესაბამება პროექტით გათვალისწინებულს.

თანახმად, „მიმწოდებელი იძლევა გარანტიას ორი წლის განმავლობაში შესრულებული სამუშაოს სრულფასოვან ფუნქციონირებაზე, გარდა მექანიკური დაზიანებისა.“ მიუხედავად არსებული ხარვეზებისა, აუდიტის დაწყებამდე მუნიციპალიტეტს არ გაუტარებია სათანადო ღონისძიებები.

აღსანიშნავია, რომ ხელშეკრულების ფარგლებში, პროექტის შესაბამისად, სკვერში დაიდგა არაპროპორციული მასიური ქვა, რომელზეც ამოტვიფრულია მუნიციპალიტეტის გერბი. აღნიშნულისთვის მუნიციპალიტეტმა გადაიხადა 15.1 ათასი ლარი. ქვის დადგმის აუცილებლობა და საჭიროება მასში გადახდილი ფასიდან გამომდინარე, მუნიციპალიტეტის წარმომადგენლების მიერ ვერ იქნა დასაბუთებული.

„სოფლის მხარდაჭერის პროგრამა“

„სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ძირითადი მიზნები არის პროგრამით გათვალისწინებული თანხის წარმართვა სოფლის პირველი რიგის სოციალურ-ეკონომიკურ საჭიროებათა დასაფინანსებლად; ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოსახლეობის ჩართულობის გაძლიერება და ადგილობრივი მნიშვნელობის პრობლემების გადაწყვეტა უშუალოდ მოსახლეობის მიერ დასახული პრიორიტეტების შესაბამისად და სხვა. პროგრამის ფარგლებში გამოყოფილი თანხის მიზნობრიობა განისაზღვრება შემდეგი კრიტერიუმებით:

✓ განსახორციელებელი პროგრამის (პროგრამების) დადებითი სოციალურ-ეკონომიკური ეფექტი უნდა აისახებოდეს სოფლის მოსახლეობის უმრავლესობაზე;

✓ პროგრამის ფარგლებში შესყიდული სამუშაო, საქონელი ან მომსახურება უნდა აუმჯობესებდეს სოფლის მოსახლეობის უმრავლესობის მატერიალურ, ყოფით, სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას;

✓ სამუშაოთა შესასრულებლად მაქსიმალურად უნდა დასაქმდეს შესაბამისი სოფლის მოსახლეობა;

✓ პროგრამით განსაზღვრული თანხა უნდა მოხმარდეს ადგილობრივი მნიშვნელობის ინფრასტრუქტურული და კეთილმოწყობის ობიექტების მშენებლობა-რეაბილიტაციას, საერთო სარგებლობის შენობების აღჭურვას, და/ან გრძელვადიანი სარგებლობის ტექნიკის შესყიდვა-აღჭურვას⁷.

2013-2014 წლებში მუნიციპალიტეტში „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ განსახორციელებლად სულ გამოიყო 2 206.7 ათასი ლარი. მათ შორის, 2013 წელს - 1 118.8 ათასი ლარი, ხოლო 2014 წელს 1 087.9 ათასი ლარი. პროგრამის ფარგლებში გამოყოფილი თანხებიდან, აუდიტის პერიოდში სულ აუთვისებელია 304.3 ათასი ლარი (13,8%), სამუშაოების შერჩევისა და შესრულების პროცესში, რიგ შემთხვევებში არ არის დაცული პროგრამის მიზნობრიობა და კრიტერიუმები, კერძოდ:

- 2014 წლის სოფლის პროგრამის ფარგლებში, სოფ. წიფლისწყაროში განხორციელდა არსებული წყლის რეზერვუარის ჭაბურღილზე დაერთება და მაგისტრალში ჩაშვება⁸ და სოფ. კართუბანში - ორ ჭაბურღილზე რეზერვუარების მოწყობა და მაგისტრალში ჩაშვება⁹. ორივე ხელშეკრულების ფარგლებში მიმწოდებლებისთვის გადახდილია სულ 36.3 ათასი ლარი, თუმცა მოსახლეობას წყალი არ მიეწოდება და აღნიშნული პროექტით ვერ სარგებლობს.
- 2014 წელს პროგრამის ფარგლებში, სოფ. ჭაბუკიანში ჭაბურღილის მოსაწყობად დაიდო ხელშეკრულება¹⁰, ღირებულებით - 16.9 ათასი ლარი. სამუშაოები შესრულდა ხელშეკრულების პირობების შესაბამისად და ანაზღაურდა სრული სახელშეკრულებო თანხა. სამუშაოების ჩატარების მიუხედავად, ჭაბურღილიდან წყლის ამოღება ვერ ხერხდება.
- 2014 წელს სოფ. ზემო გურგენიანში პროგრამის ფარგლებში გამხორციელდა სარიტუალო ფარდულის მშენებლობა, სახელშეკრულებო ღირებულებით - 14.9 ათასი ლარი. სამუშაოების ჩატარების მიუხედავად, ფარდული არ არის ექსპლუატაციაში მიღებული და მოსახლეობა ვერ იყენებს.

⁷ აღნიშნული კრიტერიუმი დაემატა 2014 წელს.

⁸ ხელშეკრულება №135 .

⁹ ხელშეკრულება №165.

¹⁰ ხელშეკრულება №207.

სამუშაოების ანაზღაურება ფაქტობრივი დანახარჯების შესაბამისად

სამშენებლო სამუშაოების გამარტივებული გზით შესყიდვა საბიუჯეტო ორგანიზაციამ უნდა განახორციელოს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2012 წლის 12 ივლისის ბრძანების¹¹ შესაბამისად¹², რომლის მიხედვითაც:

- შესრულებული სამუშაოს ღირებულება განისაზღვრება ფაქტობრივი დანახარჯების მიხედვით; ზედნადები ხარჯები და გეგმური მოგება ქვეკონტრაქტორის მიერ შესრულებულ სამუშაოებს (პირდაპირ დანახარჯებს) უნდა დაერიცხოს მიმწოდებელსა და შემსყიდველ ორგანიზაციას შორის დადებული ხელშეკრულებით განსაზღვრული პროცენტის ფარგლებში.
- სამშენებლო მანქანა-მექანიზმებისა და ინვენტარის ქირავნობის ღირებულება შესრულებული სამუშაოს აქტში გათვალისწინებული უნდა იყოს ზედნადები ხარჯებისა და გეგმური მოგების დარიცხვის გარეშე.

2013-2014 წლებში ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მიერ გამარტივებული შესყიდვის გზით, 157 ხელშეკრულების ფარგლებში შესყიდულია 1856.5 ათასი ლარის ღირებულების სამშენებლო სამუშაოები. წარმოდგენილი დოკუმენტების შესწავლით გამოვლინდა, რომ არ იყო დაცული აღნიშნული ბრძანების მოთხოვნები. კერძოდ, არც ერთი ხელშეკრულების ფარგლებში სრულყოფილად არ არის წარმოდგენილი ფაქტობრივი დანახარჯების დამადასტურებელი დოკუმენტაცია. შესაბამისად, დაუდგენელია როგორ ასრულებდა მუნიციპალიტეტი აღნიშნული ბრძანების მოთხოვნებს. ამასთანავე, 4 შემთხვევაში - მიმწოდებლებს, რომელთაც სამუშაოების შესასრულებლად დაქირავებული ჰქონდათ მანქანა-მექანიზმები და ინვენტარი, მუნიციპალიტეტმა აუნაზღაურა შესრულებული სამუშაოების აქტებში აღნიშნული მანქანა-მექანიზმების ქირავნობის ღირებულებაზე დარიცხული ზედნადები ხარჯებისა და გეგმური დაგროვების პროცენტი, სულ - 6.5 ათასი ლარის ოდენობით¹³, რაც მუნიციპალიტეტის მიერ ბიუჯეტიდან სავარაუდოდ ზედმეტად იქნა გადახდილი.

¹¹ „სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვისას ზედნადები ხარჯებისა და გეგმური მოგების განსაზღვრის წესის შესახებ“ №1-1/1463.

¹² აღნიშნულზე 2014 წელს ამოქმედდა საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის №55 დადგენილება.

¹³ შპს „ლიზი“ - ხელშეკრულებები №171, №170; შპს „ვაჟი“ - ხელშეკრულებები №186, №222.

წარმოდგენილი განმარტებით, მუნიციპალიტეტი ფაქტობრივი დანახარჯების დადგენის მიზნით ხელმძღვანელობდა მიმწოდებლისგან მიღებული ფინანსური ხარჯების დამადასტურებელი დოკუმენტაციით, რომელსაც დედნის სახით წარმოადგენდა შემსრულებელი. შემოწმების შემდეგ აღნიშნული დოკუმენტაცია უბრუნდებოდა მიმწოდებელს.

ვინაიდან აუდიტის ჯგუფისათვის მიწოდებული ფაქტობრივი დანახარჯების დამადასტურებელი დოკუმენტაცია არასრულყოფილია, ხოლო წარმოდგენილ ნაწილში გამოვლინდა უზუსტობები, საჭიროა მუნიციპალიტეტმა განმეორებით შეასრულოს აღნიშნული ბრძანებით განსაზღვრული მოთხოვნები. შეუსაბამობების არსებობის ან დოკუმენტების წარმოდგენლობის შემთხვევაში, თვითმმართველმა ერთეულმა გაატაროს სამართლებრივი ღონისძიებები.

ვადის უსაფუძვლო გადაწევები და გაუთვალისწინებელი ხარჯები

მუნიციპალიტეტის მიერ გაფორმებული 3 ხელშეკრულების ფარგლებში განსაზღვრული იყო გაუთვალისწინებელი სამუშაოები, ხარჯთაღრიცხვით შესასრულებელი სამუშაოების 3%-ის ოდენობით. აუდიტის შედეგად გამოვლინდა, რომ შემსყიდველმა ხელშეკრულებით განსაზღვრული სამუშაოს მიწოდების ვადა მიმწოდებლებს გადაუწია გაუთვალისწინებელი სამუშაოების შესასრულებლად. აღნიშნული მოტივი არ უნდა გამხდარიყო სამუშაოს ვადის გადაწევის მიზეზი და შემსყიდველს ხელშეკრულებების პირობების შესაბამისად შეეძლო დაეკისრებინა პირგასამტეხლო, სამუშაოების შესრულების ვადის დარღვევისათვის, სულ 21.8 ათასი ლარის ოდენობით, კერძოდ:

2014 წლის 27 მაისს მუნიციპალიტეტის მიერ გაფორმდა ხელშეკრულება¹⁴ შპს „ლაგოდეხავტოგზასთან“ სანიაღვრე არხების რეაბილიტაციის შესყიდვის თაობაზე. ხელშეკრულების თანახმად, ღირებულებამ შეადგინა 746.2 ათასი ლარი, ხოლო სამუშაოების მიწოდების ვადად განისაზღვრა 2014 წლის 30 ნოემბერი. 27 ოქტომბერს მიმწოდებელმა წერილით მიმართა მუნიციპალიტეტს, სადაც აღნიშნული იყო, რომ სანიაღვრე არხის მოწყობის დროს მოუწიათ წყალსადენის მილების ჩაჭრა, რის გამოც

¹⁴ ხელშეკრულება №106.

წარმოიშვა გაუთვალისწინებელი ხარჯები. მიმწოდებელმა 25 ნოემბერს განმეორებით მიმართა წერილით მუნიციპალიტეტს, სადაც ითხოვდა სამუშაოების დასრულების ვადის 25 დეკემბრამდე გადაწევას. ეს თხოვნა მუნიციპალიტეტმა დააკმაყოფილა. პასუხისმგებელი პირის განმარტებით, მიმწოდებელმა სამუშაოები დაიწყო 2 თვის დაგვიანებით, რაც გახდა სამუშაოების ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში დაუსრულებლობის მიზეზი. რაც შეეხება გაუთვალისწინებელ სამუშაოებს, სატენდერო და საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციით აღნიშნული სამუშაოების დასრულებისთვის საჭირო დრო უნდა შეესაბამებოდეს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს. აღნიშნული მიზეზით არ უნდა მომხდარიყო სამუშაოს ვადის გადაწევა. ვინაიდან მიმწოდებელმა სამუშაოები დაასრულა 25 დეკემბერს, ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, შემსყიდველს შეეძლო დაერიცხა პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, სახელშეკრულებო ღირებულების 0,1%, სულ 18.7 ათასი ლარის ოდენობით¹⁵.

ასევე ორი შესყიდვის ფარგლებში მუნიციპალიტეტს შეეძლო არ გადაეწია სახელშეკრულებო ვადა და დაერიცხა პირგასამტეხლო ი/მ ტარიელ გერგიშვილისთვის¹⁶ - 2.1 ათასი ლარი და შპს „ლაგოდებავტოგზისთვის“¹⁷ - 1.0 ათასი ლარი.

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, 2014 წელს სხვადასხვა მიმწოდებლის მიერ შესრულებული სამუშაოების აქტებში გაშიფრული არ არის, რას მოიცავს ხარჯთაღრიცხვით გაუთვალისწინებელი ხარჯი. მიუხედავად ამისა, მუნიციპალიტეტმა 4 ხელშეკრულების¹⁸ ფარგლებში აანაზღაურა გაუთვალისწინებელი ხარჯები, საერთო ღირებულებით - 1.3 ათასი ლარი. პასუხისმგებელი პირების განმარტებით, მიმწოდებლების მიერ შესრულებულ იქნა ხარჯთაღრიცხვით გაუთვალისწინებელი სამუშაოები, რაც დოკუმენტურად არ დასტურდება. შესაბამისად მუნიციპალიტეტმა დაუსაბუთებლად აუნაზღაურა მიმწოდებლებს აღნიშნული თანხა.

¹⁵ 25 დღე X (746.2 ათასი ლარი X 0,1%).

¹⁶ ხელშეკრულება №165, 19.08.2013.

¹⁷ ხელშეკრულება №161, 8.15.2013.

¹⁸ 2014 წლის ხელშეკრულებები №164, №165, №173 და №186.

სახანძრო ავტოცისტერნის შესყიდვა

მუნიციპალიტეტმა 2013 წელს ელექტრონული ტენდერის საფუძველზე გააფორმა ხელშეკრულება შპს „Batumi Group“-თან, ღირებულებით - 199.98 ათასი ლარი.

ხელშეკრულების თანახმად, წინასწარი ანგარიშსწორებისთვის მიმწოდებელს უნდა წარმოედგინა საბანკო გარანტია, რომლის მოქმედების ვადა 30 დღით მეტი იქნებოდა ხელშეკრულების მოქმედების ვადაზე. მიმწოდებელმა წარმოადგინა სადაზღვევო კომპანია „არდი ჯგუფის“ მიერ გაცემული საბანკო გარანტია, რომლის მოქმედების ვადა არ შეესაბამებოდა ხელშეკრულებით განსაზღვრულს. მიუხედავად ამისა, მას მაინც ჩაერიცხა ავანსი 180.0 ათასი ლარის ოდენობით¹⁹.

აღსანიშნავია, რომ შპს „Batumi Group“-მა თვითმმართველ ერთეულს ავტოცისტერნა არ მიაწოდა, რამაც მუნიციპალიტეტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების თანახმად, პრობლემები შეუქმნა სახანძრო დაცვისა და სამაშველო სამსახურს²⁰. მიმწოდებელმა არ დააბრუნა მისთვის გადარიცხული ავანსი, ხოლო სადაზღვევო კომპანიამ მუნიციპალიტეტს თანხა ჩაურიცხა დაგვიანებით, შემდეგი გრაფიკით:

თარიღი	დაბრუნებული თანხა (ათასი ლარი)
23.10.2013	30
06.11.2013	30
14.11.2013	30
25.11.2013	30
21.01.2014	30
29.01.2014	30
სულ	180.0

ლაგოდების მუნიციპალიტეტს არ მიუმართავს შესაბამისი ზომებისთვის, რათა სადაზღვევო კომპანიისგან დროულად მიეღო გარანტიით გათვალისწინებული თანხა. მუნიციპალიტეტს ავტოცისტერნის შესყიდვისთვის ახალი ტენდერი აღარ გამოუცხადებია. აღნიშნული თანხის საბანკო ანგარიშზე არსებობის შემთხვევაში,

¹⁹ ხელშეკრულების მოქმედების ვადა იყო 2013 წლის 20 ივლისი, ხოლო საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა - 11 აგვისტო.

²⁰ ლაგოდების მუნიციპალიტეტის გამგეობის №932, №934 წერილები.

მუნიციპალიტეტი დაახლოებით 17.0 ათას ლარზე მეტ საპროცენტო შემოსავალს მიიღებდა.

გარდა ამისა, სატენდერო დოკუმენტაციით, ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის განსაზღვრული იყო პირგასამტეხლო 0,5%, ხოლო ხელშეკრულებაში პირგასამტეხლოს ოდენობა შემცირდა და განისაზღვრა 0,1%-ით. შესაბამისად, პირგასამტეხლოს სატენდერო დოკუმენტაციის შესაბამისად, დადგენის შემთხვევაში დასარიცხი სანქციის თანხა 1.9 ათასი ლარის ნაცვლად იქნებოდა, დაახლოებით, 9.0 ათას ლარზე მეტი.

გადახდილი დღგ

2013-2014 წლებში ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მიერ დამატებული ღირებულების გადასახადის სახით, 95.0 ათასი ლარი ანაზღაურებულია იმ შემთხვევებშიც, როდესაც მომსახურების მიწოდება გათავისუფლებული იყო დღგ-ის გადასახადისაგან ან მიმწოდებლები არ იყვნენ რეგისტრირებულნი გადასახადის გადამხდელებად საქონლის/მომსახურების მიწოდების მომენტში. აღნიშნული საკითხები კანონმდებლობით სხვადასხვაგვარად რეგულირდება, კერძოდ:

➤ 2011 წლის მაისიდან, საქართველოს საგადასახადო კოდექსის²¹ თანახმად, დასუფთავების ღონისძიებები გათავისუფლებულია დღგ-ისგან ჩათვლის უფლების გარეშე. 2013-2014 წლებში, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის დაგვა-დასუფთავებასა და საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანაზე ტენდერი გამოცხადდა და ხელშეკრულება გაფორმდა დღგ-ის გათვალისწინებით. აღნიშნულ მომსახურებაზე სულ გახარჯულია 343.5 ათასი ლარი, მათ შორის, გადახდილი დღგ-ის თანხა შეადგენს 52.4 ათასს ლარს. მიუხედავად იმისა, რომ საგადასახადო კოდექსი არ ითვალისწინებდა, მუნიციპალიტეტმა მიმწოდებელს მაინც აუნაზღაურა დღგ-ის თანხა.

➤ მუნიციპალიტეტის მიერ 2013-2014 წლებში ტენდერის/გამარტივებული ელექტრონული ტენდერის გამოცხადება და ხელშეკრულების გაფორმება ხდებოდა დღგ-ის ჩათვლით. აუდიტის ჯგუფის მიერ შესწავლილ იქნა მიმწოდებლების მიერ

²¹ საქართველოს საგადასახადო კოდექსი, მუხლი 168.

მუნიციპალიტეტისთვის წარმოდგენილი ცნობები დღგ-ის რეგისტრაციის შესახებ. შედეგად დადგინდა, რომ 24 ხელშეკრულების ფარგლებში, დღგ-ის თანხა - 42.6 ათასი ლარი, ანაზღაურებულია ისეთი მიმწოდებლებისთვის, რომლებიც საქონლის/მომსახურების მიწოდების მომენტში არ იყვნენ რეგისტრირებულნი დღგ-ის გადამხდელებად.

უნდა აღინიშნოს, რომ სახელმწიფო შესყიდვების მარეგულირებელი კანონმდებლობის შესაბამისად, თვითმმართველ ერთეულს უფლება აქვს ტენდერი გამოაცხადოს როგორც დღგ-ის გათვალისწინებით, ისე დღგ-ის გარეშე. დღგ-ის გარეშე ტენდერის გამოცხადების შემთხვევაში შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია ხელშეკრულების დადებისას ღირებულებაში გაითვალისწინოს სატენდერო წინადადების ფასის შესაბამისი დღგ-ის ოდენობა, თუ ხელშეკრულების დადების მომენტისათვის პრეტენდენტი არის დღგ-ის გადამხდელი საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად. იმ შემთხვევაში, თუ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი ტენდერს გამოაცხადებდა დღგ-ის გარეშე, სავარაუდოდ, თვითმმართველი ერთეულის საბიუჯეტო სახსრები უფრო რაციონალურად დაიხარჯებოდა.

წარმომადგენლობითი ხარჯი

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მიერ ადგილობრივი ბიუჯეტიდან წარმომადგენლობითი ხარჯების მუხლით 2013 წელს დაიხარჯა 29.2 ათასი ლარი, ხოლო 2014 წელს - 25.1 ათასი ლარი.

2013 წელს წარმომადგენლობითი ხარჯების გაწევა ხორციელდებოდა შემდეგი სახით: გამგებლის მიერ სტუმრების მიღების შესახებ ზეპირი ინფორმაცია მიეწოდებოდა საფინანსო სამსახურს. შემდეგ ხელშეკრულება ფორმდებოდა მიმწოდებელთან, რომელიც წარმოადგენდა სასაქონლო ზედნადებს და მიღება - ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ მუნიციპალიტეტი ახორციელებდა თანხის გადარიცხვას. წარმოდგენილ ხელშეკრულებაში, სასაქონლო ზედნადებსა და მიღება-ჩაბარების აქტებში არ არის ინფორმაცია ჩამოსული სტუმრების ვინაობისა და რაოდენობის შესახებ. ნაჩვენებია მხოლოდ ჩანაწერი „ოფიციალურ სტუმართა

კვებითი მომსახურება“. ასევე არ არის გაწერილი აღნიშნული მომსახურების შემთხვევაში კვების მენიუ.

ჩატარებული აუდიტორული პროცედურებითა და პასუხისმგებელი პირების განმარტებებით გამოვლინდა, რომ 2013-2014 წლებში სხვა ქვეყნების დელეგაციების ოფიციალური მიღებების გარდა, მნიშვნელოვანი თანხებია დახარჯული სახელმწიფო უწყებების სხვადასხვა თანამდებობების პირების კვების ორგანიზებისათვის. კერძოდ, წარმომადგენლობითი ხარჯების გაწევა ხდებოდა გუბერნატორის, სამხარეო ადმინისტრაციის წარმომადგენლების, კახეთის მუნიციპალიტეტების გამგებლების, სხვადასხვა სამინისტროს წარმომადგენლების კვებით უზრუნველყოფისთვის. აღსანიშნავია, რომ მიმწოდებლების განმარტებით, 2014 წლის მაის-ივნისში რესტორნით მომსახურება გაეწიათ დეპუტატებს და საარჩევნო კამპანიაში ჩართულ სხვა პირებს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მუნიციპალიტეტის წინაშე არსებული პრობლემებისა და მოსახლეობის სოციალური პირობების გათვალისწინებით, გაწეულია არაგონივრული დანახარჯი, რომლის გამოყენებაც სხვა მიმართულებებით შეიძლებოდა.

ოფისის ხარჯები (საკვები პროდუქტების შესყიდვა)

2013-2014 წლებში ლაგოდეხის მუნიციპალიტეტს გაფორმებული ჰქონდა ხელშეკრულება შპს „გოლდთან“ საკვების, სასმელების, თამბაქოსა და მონათესავე პროდუქტების მიწოდებასთან დაკავშირებით. აღნიშნული მომსახურების ხარჯი გაწეულია „ოფისის ხარჯების“ მუხლიდან, თანხით - 7.3 ათასი ლარი. წარმოდგენილი სასაქონლო ზედნადებების თანახმად, შესყიდულია წყალი, ძეხვეულობა, კონიაკი, შებოლილი ხორცი, ზეთისხილი, სხვადასხვა დასახელების ყავა, შოკოლადი და სხვა. პასუხისმგებელი პირის განმარტებით, აღნიშნული პროდუქტები გამოიყენებოდა მუნიციპალიტეტის ოფიციალური სტუმრების მიღებისას.

ვინაიდან წარმომადგენლობითი ხარჯებიდან ხდებოდა სტუმრების კვებით უზრუნველყოფა, „ოფისის ხარჯებიდან“ ანალოგიური მომსახურების შესყიდვა არასწორად იქნა კლასიფიცირებული.

საკრებულოს წევრების ანაზღაურება

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო დადგენილება „ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების შესახებ“. დადგენილების საფუძველზე საკრებულოს წევრებს საკრებულოს სხდომებზე დასწრების, ამომრჩევლებთან შესახვედრად, განსახილველ საკითხებში მონაწილეობისა და ცალკეული დავალებების შესრულებისათვის განესაზღვრათ ხარჯების ანაზღაურების ყოველთვიური ზღვრული მოცულობა 2013 წელს - თითოეულს 200 ლარის, ხოლო 2014 წელს - 300 ლარის ოდენობით.

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მიერ 2013 წელს საკრებულოს წევრებზე ხარჯების სახით გაცემულია 33.0 ათასი ლარი, ხოლო 2014 წელს - 49.9 ათასი ლარი, რაზეც დაკავებულია საშემოსავლო გადასახადი.

დადგენილების თანახმად, საკრებულოს წევრები ყოველი თვის 14 რიცხვში საკრებულოს აპარატის უფროსს წარუდგენენ განცხადებას, რომელშიც მითითებული უნდა იყოს ამომრჩევლებთან შეხვედრისთვის ან საკრებულოს თავმჯდომარის კონკრეტული დავალების შესრულებისათვის გაწეული დანახარჯების ოდენობა, რასაც თან უნდა ახლდეს სათანადო დოკუმენტაცია.

მუნიციპალიტეტის მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი აღნიშნული დანახარჯების დამადასტურებელი დოკუმენტები. აქედან გამომდინარე, საანგარიშო პერიოდში საკრებულოს წევრებზე გაცემული ჯამური თანხა 82.9 ათასი ლარი, არასწორადაა ჩამოწერილი ხარჯებში, შესამამისი დამადასტურებელი დოკუმენტების გარეშე.

შტატგარეშე მოსამსახურეთა ანაზღაურება

2013 წელს ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში შტატგარეშე მოსამსახურეების რაოდენობა შეადგენდა 32 ერთეულს²², ხოლო 2014 წელს - 141 ერთეულს²³. შესაბამისად, მუნიციპალიტეტის მიერ ფაქტობრივად გაწეული ხარჯი 2013 წელს იყო 82.4 ათასი ლარი, ხოლო 2014 წელს - 375.7 ათასი ლარი.

2014 წელს შტატგარეშე მოსამსახურეთა რაოდენობა წინა წელთან შედარებით გაიზარდა 109 თანამშრომლით, მათ შორის, 94 არის თვითმმართველობის კოდექსით ამოქმედებული ახალი რეგულაციების²⁴ შედეგად, მუნიციპალიტეტის სამტატო ერთეულების შემცირებით განთავისუფლებული პირი. ზოგიერთ შემთხვევაში შრომითი ხელშეკრულებები იდებოდა 1 თვის ვადით. შემდეგ ხდებოდა ახალი ხელშეკრულებების გაფორმება იმავე პიროვნებებთან. აღსანიშნავია, რომ ხელშეკრულებებში არ არის სათანადოდ აღწერილი დასაქმებულის ფუნქციები და მოვალეობები, ზოგიერთ შემთხვევაში ხდებოდა ისეთი ფუნქციების განსაზღვრა, რაც მუნიციპალიტეტს არ ესაჭიროებოდა, კერძოდ:

2014 წლის სექტემბრიდან მუნიციპალიტეტმა სამტატო ნუსხით გათვალისწინებულ პოზიციაზე აიყვანა 2 კურიერი, რომლებიც ნოემბერში გადაიყვანეს შტატგარეშე მოსამსახურეებად. დანიშნული კურიერების განმარტებით, მათ საქმიანობას წარმოადგენდა მოქალაქეთა მომსახურებისა და საქმისწარმოების განყოფილებიდან წერილების მიტანა ქალაქ ლაგოდეხის ტერიტორიაზე არსებულ სხვადასხვა სამსახურებსა და „საქართველოს ფოსტაში“. აღსანიშნავია, რომ მუნიციპალიტეტს ანალოგიურ მომსახურებაზე ხელშეკრულება გაფორმებული აქვს „საქართველოს ფოსტასთან“ და ამ მომსახურებისთვის გადახდილია 2.8 ათასი ლარი. აღნიშნულიდან გამომდინარე, მუნიციპალიტეტმა საკურიერო მომსახურებისთვის დამატებით აიყვანა თანამშრომლები იმის მიუხედავად, რომ აღნიშნულ მომსახურებას ითვალისწინებდა შპს „საქართველოს ფოსტასთან“ გაფორმებული ხელშეკრულება.

2013-2014 წლებში ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგეობისა და საკრებულოს შტატგარეშე მოსამსახურეებზე პრემიის სახით გაცემულია სულ 85.9 ათასი ლარი,

²² გამგეობა - 21 ერთეული, საკრებულო - 11 ერთეული.

²³ გამგეობა - 123 ერთეული, საკრებულო - 18 ერთეული.

²⁴ საჯარო მოსამსახურეთა სამტატო რაოდენობის განსაზღვრის წესი - ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 156-ე მუხლი

მიუხედავად იმისა, რომ შტატგარეშე მომსამსახურებთან გაფორმებული ხელშეკრულებები დამატებით ანაზღაურებას და წახალისებას არ ითვალისწინებდა. აგრეთვე საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით, „საქონლისა და მომსახურების“ მუხლი არ ითვალისწინებს აღნიშნული კატეგორიის თანამშრომელთა პრემიის ხარჯს.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, არასათანადოდ დასაბუთებული შტატგარეშე მოსამსახურეთა საჭიროებისა და აუცილებლობის გამო, მუნიციპალიტეტის მიერ გაწეულია არაგონივრულად მაღალი ხარჯი.

სუბსიდია

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში 2013-2014 წლებში ფუნქციონირებდა თვითმმართველი ერთეულის მიერ დაფუძნებული 10 ა(ა)იპ, რომელთაც მიღებული აქვთ სუბსიდიური დაფინანსება, თანხით - 4787.4 ათასი ლარი. დაფუძნებულ იურიდიულ პირებში დასაქმებულთა რიცხოვნობა 2013 წელს იყო 588, ხოლო 2014 წელს - 645 მოსამსახურე. მუნიციპალიტეტში არსებული ა(ა)იპ-ების მიერ მიღებული სუბსიდიის 78% გახარჯულია შრომის ანაზღაურებაზე, თანხით - 3732.8 ათასი ლარი, საიდანაც 126.6 ათასი ლარი არის პრემია. აღნიშნული პრემიების 73% (92.8 ათასი ლარი) გაცემულია მხოლოდ 2 ორგანიზაციაში: სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანება და სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური.

ა(ა)იპ „ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური“

ა(ა)იპ „ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურზე“ 2013-2014 წლებში გაცემულმა სუბსიდიამ შეადგინა 789.0 ათასი ლარი. ა(ა)იპ ყოველთვირად გამგეობაში წარმოადგენდა წერილსა და შესაბამის განაცხადს, სადაც მითითებული იყო მიმდინარე თვეში მისთვის საჭირო ფინანსური რესურსების ოდენობა და ხარჯვის მიმართულებები. დოკუმენტი წარმოდგენილია გამგებლის სახელზე და დამოწმებულია გამგეობის საფინანსო სამსახურის უფროსის ხელმოწერით. 2014 წლის სექტემბერში აღნიშნულმა დაწესებულებამ სუბსიდიის სახით მოითხოვა 64.6 ათასი ლარის ჩარიცხვა და მიუთითა, რომ შრომის ანაზღაურების ხარჯის დასაფარავად ესაჭიროებოდა 26.6 ათასი ლარი, ხოლო

დანარჩენი თანხა მოხმარდებოდა სხვა საჭიროებებს. მიუხედავად აღნიშნულისა, სექტემბრის თვეში ა(ა)იპ-ის მიერ შრომის ანაზღაურება გაიცა 41.3 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის, პრემიების სახით დარიგდა 19.3 ათასი ლარი. აღნიშნული პრემიის თანხიდან 7.5 ათასი ლარი (ხელფასის ათმაგ ოდენობაზე მეტი) ა(ა)იპ-ის დირექტორმა გამოუწერა საკუთარ თავს. მუნიციპალიტეტმა მოგვიანებით აღნიშნული საკითხის დასარეგულირებლად მიმართა სასამართლოს. ა(ა)იპის დირექტორმა მიღებული პრემიიდან 6.0 ათასი ლარი დააბრუნა უკან.

ა(ა)იპ „ტურიზმის განვითარების ხელშეწყობისა და საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობის ცენტრი“

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მიერ 2013-2014 წლებში ა(ა)იპ „ტურიზმის განვითარების ხელშეწყობისა და საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობის ცენტრი“ სუბსიდიით დაფინანსდა 152.0 ათასი ლარით. აქედან მოსამსახურეების²⁵ შრომის ანაზღაურებაზე გაიხარჯა 112.8 ათასი ლარი.

პასუხისმგებელი პირის განმარტებით, 2013-2014 წლებში ა(ა)იპ-ის მიერ დამზადდა რუკები, ბროშურები და ტრიპლეტები, საერთო ღირებულებით - 7.3 ათასი ლარი. შეიქმნა საინფორმაციო ბაზა სასტუმროებისა და კვების ობიექტების შესახებ, განხორციელდა შეხვედრა ადგილობრივ ტურისტულ ბიზნესში ჩართულ პირებთან, რამდენჯერმე მოეწყო გასვლითი აქცია (სიღნაღი, ყვარელი, თელავი) ტურისტების მოზიდვის კუთხით და სხვა.

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგეობაში არსებობს განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა სამსახური, რომლის დებულების თანახმად ერთ-ერთ ფუნქციას წარმოადგენს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ტურიზმის განვითარება და ხელშეწყობა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მუნიციპალიტეტს შეეძლო გამოეცხადებინა ტენდერი რუკებისა და ბუკლეტების შესყიდვაზე, ხოლო ა(ა)იპ-ის მიერ განხორციელებულ სხვა ზემოთ აღნიშნულ საქმიანობას გამგეობის შესაბამისი სამსახური უზრუნველყოფდა თავისი ფუნქციების ფარგლებში.

²⁵ 2013 წელი: 11 ძირითადი, 1 - შტატგარეშე მოსამსახურე; 2014 წელი: 13 ძირითადი, 3 - შტატგარეშე მოსამსახურე.

აუდიტის ჯგუფის მოსაზრებით, მუნიციპალიტეტის მიერ ა(ა)იპ „ტურიზმის განვითარების ხელშეწყობისა და საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობის ცენტრის“ დაფუძნება და მისი 152.0 ათასი ლარით დაფინანსება ადგილობრივი ბიუჯეტის თანხების არარაციონალურ და არასათანადო ხარჯვაზე მიუთითებს, რადგან მუნიციპალიტეტს ა(ა)იპ-ის გარეშე, გაცილებით ნაკლები დანახარჯებით შეეძლო შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება.

იჯარები

2013-2014 წლებში ლაგოდების მუნიციპალიტეტის მიერ იჯარით გაცემულია არასასოფლო-სამეურნეო და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწები - 2013 წელს - 41, ხოლო 2014 წელს - 43 ობიექტი, რომელთა საიჯარო ქირა საანგარიშგებო პერიოდში შეადგენდა, სულ 67.9 ათას ლარს.

მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ არ ხდებოდა იჯარით გაცემული ქონებიდან მისაღები შემოსავლების სათანადო აღრიცხვა; საიჯარო ქირის დროულად გადაუხდელობის შემთხვევაში, არაა გამოყვანილი გადაუხდელი საიჯარო ქირის ნაშთები (საიჯარო ქირის დავალიანებები); არ არის დარიცხული და მოთხოვნილი მოიჯარეებზე ხელშეკრულებით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციების გადახდა. საიჯარო ქირის ე.წ. „ურჩი“ გადამხდელების მიმართ გამგეობის მიერ რაიმე მნიშვნელოვანი ღონისძიება არ გატარებულა. 2013-2014 წლებში მხოლოდ 29 მოიჯარეს მიმართეს წერილით იჯარის გადაუხდელი თანხის დაფარვის მოთხოვნით. საიჯარო ხელშეკრულებები 15 შემთხვევაში ისეა გაფორმებული, რომ მასში არ არის გათვალისწინებული ჯარიმა საიჯარო ქირის დროულად გადაუხდელობის შემთხვევაში. ზოგჯერ მითითებულია, რომ ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადებში ქირის გადაუხდელობისათვის მოიჯარე იხდის ჯარიმას ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, გადაუხდელი თანხის საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილ პროცენტს, ხოლო ვადიდან 3 თვის გასვლის შემდეგ, საიჯარო ქირის გადაუხდელობის შემთხვევაში, საიჯარო ხელშეკრულება ჩაითვლება გაუქმებულად. პასუხისმგებელი პირის განმარტებით, აღნიშნული გულისხმობს „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული ქონების

სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ წესის დამტკიცების თაობაზე“²⁶ შესაბამისად განსაზღვრულ საპროცენტო განაკვეთს.

მუნიციპალიტეტისათვის უცნობი იყო 7 საიჯარო ხელშეკრულების შესახებ, რომელთაგან 4 მოიჯარეს არასოდეს გადაუხდია საიჯარო ქირა.

გამოვლინდა, რომ 2015 წლის 1 იანვრისათვის მოიჯარეების მიერ გადაუხდელმა საიჯარო ქირამ 17.0 ათას ლარზე მეტი, ხოლო ქირის დაგვიანებით გადახდაზე ხელშეკრულებით გათვალისწინებულმა საჯარიმო სანქციამ (საურავი) – 8.0 ათას ლარზე მეტი შეადგინა.

სოციალური უზრუნველყოფა

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მიერ 2013-2014 წლებში „სოციალური უზრუნველყოფის“ მუხლით გახარჯულია სულ 565.3 ათასი ლარი, აქედან, ბენეფიციართა მედიკამენტების, სამედიცინო კვლევებისა და სტაციონალური მომსახურების დაფინანსებაზე გახარჯულია 140.2 ათასი ლარი.

ჩატარებული აუდიტორული პროცედურების შედეგად გამოვლინდა, რომ მუნიციპალიტეტი ხშირ შემთხვევაში არ ახდენდა გადამოწმებას, ითვალისწინებდა თუ არა საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის პროგრამა კონკრეტული სამედიცინო კვლევებისა და სტაციონალური მომსახურების დაფინანსებას. გამოვლინდა 20-ზე მეტი სხვადასხვა შემთხვევა, როდესაც მუნიციპალიტეტი აფინანსებდა ისეთ სამედიცინო მომსახურებას (თითოეულს 500 ლარით), რომელიც სახელმწიფო ჯანმრთელობის დაცვის პროგრამით ექვემდებარებოდა დაფინანსებას.

2013-2014 წლებში ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მიერ მოსახლეობის სოციალურად დახმარების მიზნით, სამედიცინო დახმარების პროგრამიდან შემუშავებულია ბენეფიციართა მედიკამენტებით უზრუნველყოფის დაფინანსება. დახმარების მსურველი მიმართავს მუნიციპალიტეტს წერილით და აფთიაქის ინვოისით, რომელშიც გაწერილია მედიკამენტები ფორმა №100-ის მიხედვით. შემდგომ მუნიციპალიტეტი გასცემს გარანტიას შესაბამის სააფთიაქო ქსელზე თანხის გადარიცხვის შესახებ.

²⁶ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2007 წლის 28 სექტემბრის №1-1/1476 ბრძანება.

გამოვლინდა, რომ ზოგიერთ შემთხვევაში ბენეფიციარი იძენს არა იმ მედიკამენტებს, რომელთა დაფინანსებაზეც მუნიციპალიტეტმა გარანტია გასცა, არამედ განსხვავებულ მედიკამენტებს და სამედიცინო საშუალებებს, მათ შორის, წნევის აპარატებს. ერთ შემთხვევაში პაციენტის მიერ შეძენილია 3 ერთეული წნევის აპარატი. პასუხისმგებელი პირის განმარტებით, არ ხორციელდება კონტროლი შესყიდულ და ფორმა №100-ში გაწერილ მედიკამენტებზე. შესაბამისად, ბენეფიციარს გარანტიის მიღების შემდეგ შეუძლია შეიძინოს ნებისმიერი დასახელების მედიკამენტი და ნივთი, რომლის შესყიდვაც სააფთიაქო ქსელში არის შესაძლებელი. კონტროლის არარსებობის გამო ირღვევა პროგრამის მიზნობრიობა.

კერძო აუდიტის დასკვნა

თვითმმართველმა ერთეულმა შეისყიდა ლაგოდების მუნიციპალიტეტის 2013 წლის საქმიანობის აუდიტორული შემოწმება. წარმოდგენილი ანგარიშის შესწავლის შედეგად გამოვლინდა, რომ ის ასახავს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შესრულების საკითხს, ხოლო აუდიტორმა დასკვნა გასცა და დაადასტურა ფინანსური ანგარიშგების უტყუარობა და სამართლიანობა. აღსანიშნავია, რომ პასუხისმგებელი პირის განმარტებით, მუნიციპალიტეტს 2013 წელს ფინანსური ანგარიშგება საერთოდ არ შეუდგენია. ამასთანავე, ანგარიში არ მოიცავს იმ ხარვეზებსა და დარღვევანაკლოვანებებს, რომლებიც სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ იქნა იდენტიფიცირებული. ამდენად, კერძო აუდიტორის მიერ მომზადებული დასკვნა არ შეესაბამება მარეგულირებელ ნორმებს და აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებს. ის არ არის სარწმუნო წყარო გამგეობის ზემდგომი ორგანოსა და სხვა დაინტერესებული მხარეებისათვის და ვერ აწვდის მათ საკმარის ინფორმაციას მუნიციპალიტეტის საქმიანობისა და მისი ფინანსური მდგომარეობის შესაფასებლად.

სხვა მნიშვნელოვანი საკითხების ხაზგასმა

გზის მოწყობა

სოფელ ჭიაურის გზა

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტმა 2013 წლის 19 აგვისტოს გააფორმა ხელშეკრულება შპს „ლაგოდეხავტოგზასთან“ სოფელ ჭიაურის გზის პირველი ნაწილის (ფართობი 14010 კვ.მ) მოწყობის სამუშაოების შესყიდვაზე, ღირებულებით - 450.0 ათასი ლარი. მუნიციპალიტეტმა შესრულებული სამუშაო ჩაიბარა 2013 წლის დეკემბერში. ხელშეკრულების თანახმად, მიმწოდებელი იძლეოდა გარანტიას, რომ 2 წლის განმავლობაში საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფდა წარმოქმნილი წუნის აღმოფხვრას.

აუდიტის ჯგუფმა მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებთან ერთად დაათვალიერა აღნიშნული გზა. აღმოჩნდა, რომ გზის საფარის ცალკეული მონაკვეთები დაზიანებულია, რაც პასუხისმგებელი პირის განმარტებით, მაღალი ტვირთამწეობის მანქანების მოძრაობამ გამოიწვია. მიუხედავად ამისა, მუნიციპალიტეტს არ მიუძღრთავს მიმწოდებლისთვის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების მოთხოვნით. მხოლოდ აუდიტის მსვლელობის დროს დაზიანებების გამოვლენის შემდეგ განხორციელდა გზის საფარის აღდგენა. დღეის მდგომარეობით ხარვეზები გამოსწორებულია.

გზის მოწყობის სატენდერო ხარვეზი

2013 წელს ლაგოდეხის მუნიციპალიტეტმა გამოაცხადა ელექტრონული ტენდერი სოფ. ბოლოკიანი-ნაწისქვილარის დამაკავშირებელი გზის საფარის მოწყობის სამუშაოების შესყიდვაზე, სავარაუდო ღირებულებით - 949.8 ათასი ლარი. ტენდერში გამარჯვებულად გამოვლინდა ყველაზე დაბალი ფასის მქონე პრეტენდენტი - შპს „ლაგოდეხავტოგზა“, რომელთანაც გაფორმდა ხელშეკრულება ღირებულებით - 720.0 ათასი ლარი²⁷.

სატენდერო დოკუმენტაციაში ერთ-ერთ პუნქტად მითითებულია თხევადი ბიტუმით დამუშავებულ საფარზე შემასწორებელი ფენის მოსაწყობად ფოროვანი ა/ბეტონი, რაოდენობით - 414,1 ტონა. ტენდერში გამარჯვების შემდეგ

²⁷ ხელშეკრულება №164. 19.08.2013.

ხელშეკრულების გაფორმებამდე, შემსყიდველმა მოითხოვა ფასების ცხრილის დაზუსტება. მიმწოდებელმა ფასების ცხრილის დაზუსტების დროს, ფოროვანი ა/ბეტონის რაოდენობა 301,3 ტონით შეამცირა, 112,8 ტონამდე. აღნიშნული უზუსტობა სატენდერო კომისიის მიერ არ ყოფილა გამოვლენილი და მიმწოდებელს ხელშეკრულება გაუფორმდა 112,8 ტ. ფოროვანი ა/ბეტონის შესყიდვაზე. კანონმდებლობის თანახმად, აღნიშნული ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში, პრეტენდენტი ექვემდებარებოდა დისკვალიფიკაციას.

აუდიტის მსვლელობის დროს მიმწოდებლის მიერ დამატებით წარმოდგენილ იქნა დოკუმენტები, რომელთა მიხედვით, ობიექტზე მიტანილ იქნა 414,1 ტონა ასფალტობეტონის ნარევი, თუმცა შესრულებული სამუშაოების აქტებში აღნიშნული ფაქტი არ დასტურდება.

უფასო სასადილო

2014 წელს ლაგოდეხის მუნიციპალიტეტმა მიუსაფართა და მზრუნველობა-მოკლებულთა კვებითი მომსახურების შესყიდვა გამარტივებული ელექტრონული ტენდერის საშუალებით განახორციელა ა(ა)იპ „სასადილო მადლისგან“. სახელშეკრულებო ღირებულებამ შეადგინა 36.5 ათასი ლარი, ხოლო მომსახურების პერიოდი განისაზღვრა 14 მარტიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

სატენდერო დოკუმენტაციით გაანგარიშებული იყო 70 ბენეფიციარზე 1-კვირიანი მენიუ, რის შესაბამისად მიმწოდებელმა წარმოადგინა განფასება. მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილ განფასებაში კვების ღირებულება დღეების მიხედვით განსხვავებული იყო. სახელშეკრულებო პერიოდის განმავლობაში, არსებული კვირის დღეების მიხედვით დათვლილი მომსახურების ღირებულებამ შეადგინა 24.4 ათასი ლარი. მუნიციპალიტეტის მიერ მიმწოდებელზე წარმოდგენილი შესრულების საფუძველზე ანაზღაურებულია 33.1 ათასი ლარი, ანუ 8.7 ათასი ლარით მეტი. პასუხისმგებელი პირის განმარტებით, აღნიშნული სხვაობა შეადგენს პერსონალის ხელფასს და კერძების მომზადებაზე გასაწევ სხვა ხარჯებს, თუმცა სატენდერო დოკუმენტაციით არ იყო ცალკე გამოყოფილი ხელფასებისა და სხვა ხარჯების მოცულობები.

გარე განათების ექსპლუატაცია

2013 წელს ლაგოდების მუნიციპალიტეტმა გარე განათების მომსახურება შეისყიდა შპს „ლაგ.ელ.მო-სგან“ სახელშეკრულებო ღირებულებით - 110.0 ათასი ლარი, ხოლო 2014 წელს ი/მ „ბიძინა ჯამრულიძისგან“ - ღირებულებით 74.9 ათასი ლარი. აღსანიშნავია, რომ 2013 წელს მიმწოდებელმა გაიმარჯვა კონკურენციის გარეშე, ხოლო 2014 წელს კონკურენციის პირობებში ფასმა დაიკლო სავარაუდო ღირებულებასთან შედარებით 63%-ით²⁸.

სატენდერო დოკუმენტაციით 2013 წელს განსაზღვრული იყო 2293 სანათი წერტილისა და 116.4 ათასი გრძ.მ სადენის მომსახურება, ხოლო 2014 წელს - 2690 სანათი წერტილისა და 146.2 ათასი გრძ.მ სადენის მომსახურება.

თვეების მიხედვით წარმოდგენილი შესრულებული სამუშაოების აქტების თანახმად, ზოგიერთ შემთხვევაში მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შეცვლილია ისეთი სიმძლავრის სანათები (შესაბამისად, დროსელები), სადაც სატენდერო დოკუმენტაციით გათვალისწინებული იყო სხვა სიმძლავრის სანათები/დროსელები.

2013-2014 წლებში სულ გამოიცვალა ხარჯთაღრიცხვისგან განსხვავებით სხვა სიმძლავრის ნათურები/დროსელები, საერთო ღირებულებით 6.0 ათას ლარზე მეტი. პასუხისმგებელი პირის განმარტებით, აღნიშნული სხვა სიმძლავრის სანათები დამონტაჟდა ხარჯთაღრიცხვით გაუთვალისწინებელ ადგილებში.

საპროექტო მომსახურება

2013-2014 წლებში მუნიციპალიტეტმა ტენდერის გზით შეისყიდა სხვადასხვა სახის საპროექტო მომსახურება, მათ შორის, შესყიდულია მუნიციპალიტეტის ტერიტორიიდან საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანის ღონისძიებების, ბაღების, სკვერებისა და სასაფლაოების მოვლა-პატრონობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია, რისთვისაც შპს „არქიმენპროექტ“-ს აუნაზღაურდა 4.8 ათასი ლარი.

²⁸ 2013 წელს სავარაუდო ღირებულება იყო 110.0 ათასი ლარი, ხოლო 2014 წელს - 120.0 ათასი ლარი.

აღსანიშნავია, რომ მუნიციპალიტეტმა მიმწოდებლისგან შეიძინა მხოლოდ სავარაუდო ღირებულების დადგენის მომსახურება. რადგან დასუფთავებისა და გამწვანების მოვლა-პატრონობისათვის საჭირო სამუშაოების მოცულობა განისაზღვრა მუნიციპალიტეტის თანამშრომლების მიერ დეფექტური აქტების საშუალებით, ხოლო საპროექტო ორგანიზაციამ მოახდინა მხოლოდ სამუშაოთა განფასება.

მუნიციპალიტეტს შეეძლო თავად შეედგინა პროექტები ისეთი სამუშაოებისათვის, რომელთაც არ სჭირდება რთული აზომვებისა და გაანგარიშების ჩატარება. სავარაუდო ღირებულების განსაზღვრისთვის შესაძლებელი იყო წინა წლების შესყიდვებისა და დასუფთავების ღონისძიებების მიმწოდებლის - შპს „კეთილმოწყობის“ გამოცდილების გათვალისწინება, რომლის 100%-ანი წილის მფლობელი მუნიციპალიტეტია.

თვითმცლელის შესყიდვა

2013 წლის 9 დეკემბერს მუნიციპალიტეტმა გამარტივებული შესყიდვის საშუალებით ფიზიკური პირებისგან შეისყიდა ორი თვითმცლელი („კამაზი“), შესაბამისი ღირებულებებით - 36.0 ათასი ლარი (გამოშვების წელი 1991) და 42.0 ათასი ლარი (გამოშვების წელი 1999). შესყიდვა დაფინანსდა 2012 წლის „სოფლის მხარდაჭერის პროგრამიდან“ აუთვისებელი თანხით. პასუხისმგებელი პირების განმარტებით, გამგეობის სხდომაზე ტერიტორიული ერთეულების წარმომადგენლებს დაევაღათ წარმოედგინათ კრების ოქმები, სადაც მოითხოვდნენ პრიორიტეტად თვითმცლელის შესყიდვას. გამგეობის წარმომადგენლების განმარტებით, არსებობს მოსახლეობის კრების შესაბამისი ოქმები, მაგრამ ისინი ამოღებულია სამართალდამცავი ორგანოების მიერ.

წითელი ჯვარი

2013 წლის 29 ივლისს ლაგოდეხის მუნიციპალიტეტსა და საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოებას შორის გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი. შემუშავდა ერთობლივი პროგრამა „სოციალური სტრატეგიებისა და

მომსახურების განვითარება ყველაზე დაუცველებისათვის კახეთის რეგიონში“. სულ პროგრამის ღირებულებამ შეადგინა 87.0 ათასი ლარი, აქედან, 30.9 ათასი ლარის ხარჯის გაწევა განისაზღვრა ადგილობრივი ბიუჯეტით. პროგრამის მიზანი იყო სოციალურად დაუცველი ხანდაზმულების უმწეობის შემცირება და მათი ცხოვრების ხარისხისა და ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება.

მემორანდუმით გათვალისწინებული ერთობლივი პროგრამის განხორციელების მიზნით, 2014 წლის 3 იანვარს მხარეებს შორის გაფორმდა ხელშეკრულება თანხით - 30.9 ათას ლარი. თანადაფინანსების ხარჯთაღრიცხვის თანახმად, 2014 წელს მუნიციპალიტეტის მიერ სუბსიდიური დაფინანსებით უზრუნველყოფილ იქნა წითელი ჯვრის წარმომადგენლობა ლაგოდეხში, კერძოდ: 4 თანამშრომლის ხელფასი ანაზღაურებულია თანხით 24.6 ათასი ლარი, სატრანსპორტო ხარჯები - თანხით 3.6 ათასი ლარი, სხვა ხარჯები - 2.7 ათასი ლარი.

აღსანიშნავია, რომ წითელი ჯვრის ფილიალი მუნიციპალიტეტის მიერ უზრუნველყოფილ იქნა შესაბამისი ფართობით, რომელსაც ჩაუტარდა რემონტი წარმომადგენლების შესვლამდე. წითელი ჯვრის ოფისის გახსნის შემდეგ კი მუნიციპალიტეტმა საკუთარი ხარჯებით მოუწყო შიდა საპირფარეშო, თანხით 2.4 ათასი ლარი. რემონტის ხარჯები თანადაფინანსების ხარჯთაღრიცხვით არ იყო გათვალისწინებული.

ექსკავატორის შესყიდვა

2013 წლის 11 თებერვალს ლაგოდეხის მუნიციპალიტეტმა გამოაცხადა ტენდერი ბულდოზერ-ექსკავატორის შესყიდვასთან დაკავშირებით, სავარაუდო ღირებულებით 150.0 ათასი ლარი. ტენდერის გამოცხადებიდან 9 დღეში, 20 თებერვალს, კომისიის გადაწყვეტილებით შეიცვალა შესასყიდი საქონლის ტექნიკური მახასიათებლები. კერძოდ, პირველად ატვირთულ სატენდერო დოკუმენტაციაში მოთხოვნილი იყო გამოშვების წელი - 2013, რომელიც კორექტირებულ სატენდერო დოკუმენტაციაში შეიცვალა და მიეთითა - არანაკლებ 2012 წლისა.

ტენდერში მონაწილეობა მიიღო სამმა პრეტენდენტმა: შპს „თეგეტა ქონსტრაქშენ ექვიფმენტმა“, შპს „აზია სერვისმა“ და შპს „ჯი-თი გრუპმა“. შპს „თეგეტა ქონსტრაქშენ ექვიფმენტმა“ და შპს „აზია სერვისმა“ შემსყიდველს შესთავაზა ექსკავატორის 2013 წლის მოდელები, ხოლო შპს „ჯი-თი გრუპმა“ 2012 წლის მოდელი. ვაჭრობის შედეგად, ერთი ლარის ფასთა სხვაობით, გამარჯვებულად გამოვლინდა შპს „ჯი-თი გრუპი“, რომელთანაც გაფორმდა ხელშეკრულება²⁹ - ღირებულებით 140.9 ათასი ლარი. მიმწოდებელმა ექსკავატორი შემსყიდველს მიაწოდა ხელშეკრულების გაფორმებიდან 6 დღეში და შესაბამისად, მოხდა ანგარიშსწორება წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე.

აღნიშნული მიმწოდებელი ტექნიკური მახასიათებლების შეუცვლელობის პირობებში ტენდერში მონაწილეობას ვერ მიიღებდა. მუნიციპალიტეტის მიერ ვერ იქნა დასაბუთებული, რატომ შევიდა სატენდერო დოკუმენტაციაში ცვლილება და რატომ გაუარესდა შემსყიდველის პირობები.

აუდიტის დასკვნა

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოსაზრებით, გარდა „პირობითი მოსაზრების საფუძვლების“ საკითხების შესაძლო გავლენისა, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის 2013-2014 წლებში გაწეული საქმიანობა შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და მარეგულირებელ ნორმებს.

აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, აუდიტის ანგარიში ჩაბარებიდან 20 დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურში.

²⁹ ხელშეკრულება №42. 14.03.2013.

აუდიტის ჯგუფის წევრების ხელმოწერები

უფროსი აუდიტორი

გიორგი შურღაია

ხელმოწერა 19.06.2015 თარიღი

აუდიტორი

ირაკლი გოგოლიძე

ხელმოწერა 19.06.2015 თარიღი

აუდიტორი

თეა არველაძე

ხელმოწერა 19.06.2015 თარიღი

აუდიტორი

თეა უდესიანი

ხელმოწერა 19.06.2015 თარიღი

აუდიტორი

ლელა მიქაძე

ხელმოწერა 19.06.2015 თარიღი

აუდიტორ-ასისტენტი

თათია ამბროლაძე

ხელმოწერა 19.06.2015 თარიღი